

# საქართველოს რესპუბლიკა

**გამოცემის 82-100 წელი**

## ყურადღება!

ტექნიკური და ფინანსური მიზეზების გამო მიმდინარე კვირაში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოვა ხუთშაბათს და შაბათს.  
**რედაქცია გოდის უხდის მკითხველს მცირედი შეფარებასთვის!**



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბეჭდუნი სიფყაა, ცეცილებით და ჭიბბით ბუბთის გაფანა ყველა უჯანბისბაჭე უსამაგლეისია.

სამშაბათი, 24 აპრილი. 2018 წ. №84 (8485), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

### თქვენო სამეფო უმადლესოვავი!



**ის, რას სპაღრისია 5**  
**პრტიოსთვის, რატომ არის**  
**უკაღრისი მეორისთვის?**

### მკითხველის თხოვნით

**სასტუმრო და სარესტორნო**  
**ბიზნესის „ბენეფიცი“**



გელა სერცვაძე 7



### სარგსიანი ნაპილა, კარაპეტიანი მოპილა!

სომხეთის ახლა უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, სერუ სარგსიანის განცხადებას მისი პრესსამსახური ავრცელებს:

„მოგმართავთ თქვენ ბოლოჯერ, როგორც ქვეყნის მეთაური. ნიკოლ პაშინიანი იყო მართალი, მე შეემშალა. შექმნილ სიტუაციაში არის რამდენიმე გამოსავალი, თუმცა მე არც ერთ მათგანზე არ მივდივარ. ეს ჩემი არ არის. ამიტომ მე ვტოვებ ქვეყნის მმართველის პოსტს“, – ნათქვამია სარგსიანის განცხადებაში.


სერუ სარგსიანი ერევანში თითქმის ორკვირიანი საპროტესტო აქციების შემდეგ გადადგა. ყველაზე ხალხმრავალი დამასტაბური აქცია სომხეთის დედაქალაქში გუშინწინ საღამოს გაიმართა. ერთი კვირის წინ კი ოპოზიციის ლიდერმა პაშინიანმა საპროტესტო აქციებს „ხვევრდოვანი რევოლუცია“ უწოდა.



\* \* \*  
სომხეთის მთავრობის ხელმძღვანელი პირველი ვიცე-პრემიერი კარაპეტიანი გახდება. გუშინ სწორედ ის დაინიშნა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად...

**გაუგული**  
**რგოლი 8**  
**მთავრობასა**  
**და**  
**საზოგადოებას შორის**

**ახალგაზრდები**  
**პრემიერ-**  
**მინისტრს**  
**ღია წერილით**  
**მიმართავენ**



**მასილ ბესლია:**  
**9 ღია**  
**წერილი**  
**ჩემს საქართველოს!**

**ყველა ქმედებაზე, როგორც**  
**დაკავშირებულია უკანონობასთან,**  
**რუსეთის პასუხისმგებელი 3**

**ავროკავშირი**  
**დაუინებით 4**  
**მოითხოვს!..**  
**კანონი დატოვებული**  
**პატარა ხვრელები ღიდი**  
**დარღვევისათვის**

## როდის დადგება ის პრტი მუშენიერი დღე?!



მრტი მშვენერი დღეს საქართველო გახდება ნატოს წევრი, მანამდე კი უნდა გავაღრმავოთ თანამშრომლობა, – ამის შესახებ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პაოლო ალიმ ბათუმში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 97-ე სემინარზე სიტყვით გა-

მოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება არის ევროპის უსაფრთხოების ნაწილი, რაც აქ მოხდება, აუცილებლად აისახება ევროპაზე.

„გვინდა ვიხილოთ ეს რეგიონი, როგორც თავისუფალი განვითარების რეგიონი.“

ჩვენ დღეს შევიკრიბეთ გაუგებრობის ფონზე, რომელიც რეგიონშია, რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს რეგიონები, ანექსირებულია ყირიმი, რთულია ვითარება უკრაინაში, რუსეთი ბრძოლობს, რომ გაიმყაროს პოზიციები სირიაში, სადაც პირდაპირ მუშაობს ასადის რეჟიმთან. ალიანსის წინაშე დგას დიდი ამოცანა, სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის შენარჩუნების თვალსაზრისით, – განაცხადა პაოლო ალიმ.

მისივე განცხადებით, საქართველო

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის არაჩვეულებრივი მაგალითია.

„ეს ინტეგრაცია არის ტრანსფორმაციის საშუალება – დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გარანტი ვიცით, რამდენად მონდომებულია საქართველო, რომ მიიღწიოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ნატომ ევროკავშირმა და საქართველომ ერთად უნდა იზრუნონ, რომ შეინარჩუნონ ეს დინამიკა“, – აღნიშნა პაოლო ალიმ, რომელმაც იქვე დასძინა, რომ 2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს ნატომ მტკიცედ და ოპერატიულად განახორციელა რეაგირება და შესაბამისად, ჩამოყალიბდა ნატო-საქართველოს საპარლამენტო ასამბლეა.

„ჩვენ აღვნიშნავთ 10 წლის თანამშრომლობას და საპარლამენტო თანამშრომლობა გახდა ურთიერთობის მთავარი ნაწილი. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ გავაღ-

რმაოთ ეს ინტეგრაცია. 2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს ნატომ მტკიცედ და ოპერატიულად განახორციელა რეაგირება და შესაბამისად ჩამოყალიბდა ნატო-საქართველოს საპარლამენტო ასამბლეა. მინდა, ხაზი გავუსვა სწორედ საპარლამენტო თანამშრომლობას, როგორც ერთგვარ კოლეგიალურ თანამშრომლობას და მადლობა გადავუხადო ირაკლი სესიაშვილს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას სემინარის ორგანიზებისთვის.

2018 წელი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როცა აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე. სამ წელიწადში, მაშინ ახალგაზრდა რესპუბლიკამ, საკმაოდ დიდ წარმატებებს მიიღწია, თუმცა 1921 წელს წითელმა არმიამ გაანადგურა ევროპული პერსპექტივები“, – განაცხადა პაოლო ალიმ.





# ეპროკავშირი დაუინებოთ მოითხოვს!..

## კანონი დაბოვებული პატარა სკრელები დიდი ღარდვებისათვის

შემოწმებული 600-მდე ორგანიზაციიდან, პრაქტიკულად, ყველაზე დარღვეულია შრომის პირობები, უსაფრთხოება თუ ნორმები. მიუხედავად ამისა, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები იგეგმება, ბევრი რამ კვლავ უწყურადღებოდ დარჩება. ამიტომ უახლოეს მომავალში სამუშაო ადგილებზე პრობლემები აღარ აღმოიფხვრება.

შრომის ინსპექციამ სამწლიანი მუშაობის შედეგები წარმოადგინა. ბოლო სამ წელში შრომის ინსპექტორებმა 593 ობიექტი შეამოწმეს, მათგან ყველაზე მეტი – 287 ობიექტი – 2017 წელს. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა: დარღვეული ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება, ტრავმატიული შემთხვევების ალურიცხაობა, კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უქონლობა, დარღვეული სანაპირო, კუსტარული დანადგარები და ა.შ.



ლი სახანძრო ინსტრუმენტით და ინვენტარით, არ არის სანაპიროში სიტუაციებისა და ხანძრის ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის გეგმა, - ნათქვამია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საქმიანობის შემადგენელი დოკუმენტში.

ასევე გამოვლინდა, რომ დამსაქმებლები არ ზრუნავენ დასაქმებულთა კვალიფიკაციაზე. არ ატარებენ არც სასწავლო კურსებს და არც ინსტრუქტაჟს.

„2015-17 წლებში ობიექტებზე აღმოჩენილი დარღვევების მეტი წილი 14.6% მოდის სახანძრო უსაფრთხოებაზე. არ ტარდება სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსა და სანაპირო უსაფრთხოების ჩაბარების გზით, არ არის გამოკრული სავარაუდო გასასვლელებთან ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა, არ არის ან ვადაგასულია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, ხანძრის ჩაქრობის პირ-

ველადი საშუალებების განთავსების ადგილები არ არის აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით, არ არის აღნიშნული ფეთქებადსაშიში მონაცემები და ფეთქებადსაშიში ნივთიერებებისა და მასალების შენახვის ადგილი სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით, ჩახერგავს სავარაუდო გზები, სხვადასხვა საგნით გადაკეტილია გამწვავი არხები, ლიობები და ცხაურები.

სახანძრო სტენდი არ არის დაკომპლექტებული ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით, არამექანიზებულ-

ბის შემადგენელი დოკუმენტში. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ობიექტში დარღვეულია უსაფრთხოების ნორმები. ამაზე მუდმივად საუბრობენ სპეციალისტები. ბოლოს და ბოლოს მთავრობამ კანონმდებლობის გამკაცრება გადაწყვიტა, მაგრამ აქაც პრობლემებია.

მონიტორინგის ცენტრი და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში არ შედის სათანადო ცვლილებები. შესაბამისად, კვლავ რჩება ბევრი ხარ-

ვეზი. მაგალითად, კანონპროექტით შემოწმება არ გავრცელდება დასაქმების ყველა ადგილზე; არ კანონდება ინსპექციის უპირობო დაშვება; კანონდარღვევა მხოლოდ მინიმალურ ჯარიმებს ითვალისწინებს და ზედამხედველობითი მექანიზმის გაფართოება და გაძლიერებაც ნაწილობრივ იგნორირებულია.

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისარი იოჰანეს ჰანი ამბობს, რომ შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დაცვის კუთხით, პროგრესის არარსებობა ნამდვილად შემაშფოთებელია. ამან შეიძლება დაარღვიოს ევროკავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.

„ევროკავშირი სრულად ინფორმირებულია საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის, სამუშაო პირობებისა და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით. ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ მოქმედებისკენ და შეშფოთებული ვართ სამუშაო პირობების ეფექტური ზედამხედველობის სისტემაში, შრომითი ურთიერთობებისა და შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დაცვის კუთხით, პროგრესის არარსებობით. შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დაცვის ეფექტური სისტემის არარსებობამ შესაძლოა, დაარღვიოს ევროკავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.

მკაფიო, პროგნოზირებადი და აღსრულებადი წესები ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, ინვესტიციებისა და ვაჭრობისთვის. ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას, შრომის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და დაქირავებით მშრომლობის რეგულაციების დასაქმებულთა ეფექტური დაცვა, ზედამხედველობით და სანქციების ძალით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შრომითი ინსპექციის შესაბამისი სისტემის შექმნით, - აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

ზაქა დანელია

**არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, ჯარიმების შემცირების ან სულაც გაუქმების წინადადება საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის მიზნებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს პირდაპირ ეწინააღმდეგება.**

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიანიშნებს, რომ ცვლილება აზრს დაუკარგავს ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემას, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა და რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული რეფორმა იყო უკანასკნელ წლებში.

„პარლამენტში დეპუტატ რევაზ არველიაძის მიერ ინიცირებულია საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში ცვლილებების ორი პროექტი, რომლებიც გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების წარდგენის, გამოქვეყნებისა და მონიტორინგის მხრივ. კერძოდ: გაუქმდება 1000-ლარიანი ჯარიმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციაში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში;

ქონებრივი დეკლარაციის დაბეჭდვის წარდგენის ნარდგენის არსებული 1000-ლარიანი ჯარიმა დაბეჭდვის წარდგენის ნარდგენის არსებული 1000-ლარიანი ჯარიმამდე;

თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციაში სანიშნავი გაზრდა იქნება ინფორმაციის დასაცემის ნარდგენის ნარდგენის არსებული 1000-ლარიანი ჯარიმამდე;

თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციაში სანიშნავი გაზრდა იქნება ინფორმაციის დასაცემის ნარდგენის ნარდგენის არსებული 1000-ლარიანი ჯარიმამდე.

### თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციებთან დაკავშირებით ჯარიმები მსირდება ან უქმდება?!

ან ბერისა).

შემოთავაზებული პროექტი მნიშვნელოვნად ასუსტებს დღეს არსებულ პრევენციისა და სანქციის სტანდარტს, ზრდის ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობას და ამცირებს თანამდებობის პირების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. განსაკუთრებით შემამოფრთხილებელია წინადადება, რომ გაუქმდეს ჯარიმა თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, რადგანაც ასეთი ცვლილება არსებითად აზრს დაუკარგავს ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემას, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული რეფორმა იყო უკანასკნელ წლებში. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს ხელიწესების ვალდებულებაა საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი ქონებრივი დეკლარაციების წარდგენისა და მონიტორინგის სისტემა საერთაშორისო დონეზე კარგ



პრაქტიკად არის აღიარებული და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ეროვნულ სამოქმედო გეგმებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ვალდებულებას წარმოადგენს.

ეს ყველაფერი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, როგორც სტატისტიკა მოწმობს, ზოგიერთი თანამდებობის პირი არასათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება ქონებისა და შემოსავლების შეტანას დეკლარაციაში. 2017 წლის საჯარო სამსახურის ბიუროს ანგარიშის მონაცემებით მხოლოდ წარდგენილი დეკლარაციების 20% იყო სრულყოფილად შევსებული. 2017 წელს სულ შემონმდა

287 თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია, საიდანაც 224 შემთხვევაში (78%) გაცა უარყოფითი დასკვნა და დაჯარიმდა თანამდებობის პირი, ხოლო 7 პირზე დარღვევის შეფასება შემდგომი რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეგზავნა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის საქართველოს მონიტორინგის მე-4 რაუნდის ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა ძირითადი ამოცანაც კანონის მოქმედების არეალის გაზრდა და დეკლარაციების წარდგენისა და მო-

ნიტორინგის სისტემის გაძლიერებაა. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ პარლამენტის მხრიდან მოხდეს ქონებრივი დეკლარაციის სისტემის გაძლიერება, დეკლარაციების წრის გაფართოება და სანქციების გამკაცრება, შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებს არსებულ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგის სტანდარტს, სისტემის გამჭვირვალობას და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების ხარისხს.

– მოვუწოდებთ პარლამენტს, მხარი არ დაუჭიროს ცვლილებებს ინფორმაციის დახურვის და დეკლარაციის წარუდგენლობისთვის ჯარიმის შემცირების თაობაზე, რადგან ეს ინიციატივა ერთმნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯია კორუფციისთან ბრძოლის მიმართულებით და ასუსტებს ამ თვალსაზრისით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების არსებულ სტანდარტს. ამასთან, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების დეკლარირების მოთხოვნების შევსება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ანტიკორუფციული შეთანხმებისა და მექანიზმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებს და აუცილებლად აისახება შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის შეფასებაზე, - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ავრცელებენ.

პასტანა ცნობილია













ჰოკეი



### საქართველოს ნაკრები მე-3 დივიზიონის ჩემპიონია

კვიბიტაშენში (სამხრეთი აფრიკა) შვიდ დღეს გრძელდებოდა მესამე დივიზიონის მსოფლიოს ჩემპიონატი ყინულის ჰოკეიში. ზედა ეშელონის ერთადერთი საგზურისთვის ექვსი გუნდი იბრძოდა: საქართველოს ნაკრები (კახა ამბროლაძე, ანდრეი ილიენკო, არტიომ კურბატოვი, ვიტალი დუმბაძე, ალექსანდრე ჟუჟუნაშვილი, ოლივერ ობოლგოგინი, გრიგორი ფილიმონოვი, სემიან ხარიზოვი, ალექსანდრ ვასილენკო, ივან შვეცოვი, რევაზ ცომბია, არტიომ კოზილინი, გიორგი ჯეირანაშვილი, ამირან გეფერძე, გია ოგანესიანი, დავით მინასიანი, მიხეილ დავითაშვილი, ზაზა ღონღაძე, დავით ოგანესიანი, მისაილ შალუნოვი, მთავარი მწვრთნელი როლანდ სვანიძე), მე-2 დივიზიონიდან ჩამოქვეითებული თურქეთი, ბულგარეთი, ტაივანი, ჰონკონგი და სამხრეთი აფრიკა.

შესანიშნავად ითამაშეს „ჯვაროსნებმა“ – სტარტზე თურქეთს აჯობეს (6:2), მერე ბულგარეთი დაამარცხეს

(5:3), მესამე ტურში ჰონკონგს მოუგეს (11:1), მეოთხე ტურის შეხვედრა მასპინძლებთან დათმეს 2:4, მაგრამ ტურნირის ბოლო დღეს ტაივანი დაჯაბნეს – 11:2, მოაგროვეს 12 ქულა და ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის საგზური მოიპოვეს.

ბულგარელებმა, რომლებიც მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდნენ, თურქეთი და მატებით დროში 4:3 დაამარცხეს და 11 ქულით ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. მესამე ადგილზე თურქები გავიდნენ.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: საქართველო – 12, ბულგარეთი – 11, თურქეთი – 10, ტაივანი, სამხრეთი აფრიკა – 6-6, ჰონკონგი – 0 ქულა.

ბოლო ადგილზე გასული ჰონკონგი გაისად მესამე დივიზიონის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს.

**ლემსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

### დაბრუნდა და 15.000-იანის პოიგო



საბარტეველს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრი ალექსანდრე მეტრეველი ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტს წელუღს დაუბრუნდა.

და. გასულ კვირას მან ყაზახური ჩიჩენტის 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში წყვილთა შორის მასპინძელ დენის ვესევეთან ერთად ზედიზედ დაამარცხა რუსები – სერგეი დოროჟკინი და ბულატ გალიევი – 6:4, 6:1, მე-4 ნომრად განთესილი ანტონ ჩეხოვი (რუსეთი) და ქუინ ფოლიოტი (საფრანგეთი) – 6:2, 6:2, ბოგდან ბობროვი და მარკოს კალოველიონისი (ორივე – რუსეთი) – 2:6, 7:6, 11:9, გადამწყვეტ პაექრობაშიც ჩრდილოელ მეზობლებს – დენის კლოკსა და ვლადიმირ კოროლიოვს აჯობა – 5:7, 7:6, 10:6 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

მეტრეველი გიორგი ციციკესა და ვაჟა შუბლაძესთან ერთად ისევ ჩიჩენტში რჩება და ახალ 15.000-იან ტურნირში ჩაებმება.

**თამაზ პატარიძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

### ფინალში გავიდა

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ვასილ კაკოვინის ფრანგული რასინგი ირლანდიურ მანსტერს შეხვდა და 27:22 მოუგო. მასპინძლები პირველ ნახევარში 24:3 დაწინაურდნენ მეორე ტაიმში ირლანდიელები გამოცოცხლდნენ, მაგრამ შეხვედრა ვერ გადაარჩინეს.

„ჯვაროსანი“ სათადარიგოთა შორის იყო და მინდორზე 50-ე წუთზე გამოჩნდა. მატჩის საუკეთესო მორაგბედ მაქსიმ მაშნო დასახელდა.

ჩვენებურის გუნდის მეტოქე ფინალში ლენსტერი იქნება, რომელმაც მეორე ნახევარფინალში სკარლეთის 38:16 დაამარცხა. ფინალი 12 მაისს ბილბაოში გაიმართება.

**კობა კობახიძე**



კრივი


### დღეს ინგლისელთან იბრძოლებს

18-წლამდე მოკრივეთა ევროპის 28-ე ჩემპიონატში, რომელსაც იტალიის ქალაქი როზეტო დელი აბრუცი მასპინძლობს, შვიდი ქართველი სპორტსმენი ჩაება. მათგან 81 კილოში წარმტებით ასპარეზობს თემურ ქიმაძე. პირველ წრეში მან უკრაინელი ვიტალი სტალჩენკო დაამარცხა. მერე მის გზას ლიტველი დომანტას პრისმანტასი გაუყენა, მეოთხედფინალში ბელარუს ალექსეი ალფეროუს აჯობა და ნახევარფინალში გავიდა, რითაც, სულ მცირე, ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. დღეს იგი ფინალში გასასვლელად ინგლისელ კეროლ იტაუმას გაუწევს მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში იტა-

ლიელი ტაისონ ალაომა და რუსი რუსლან კოლესნიკოვი იბრძოლებენ.

რაც შეეხება დანარჩენ ექვს ქართველ მოკრივეს (ლუკა კუბლაშვილი (49 კგ), სერგო ცაციაშვილი (52 კგ), გია თოთლაძე (56 კგ), ალექსანდრე ყიფიანი (60 კგ), ნიკა ჯაკონია (64 კგ) და ნიკა მოდებაძე (69 კგ), მთავარი მწვრთნელი ლაშა დუნდუა), ისინი მერვედფინალს ვერ გასცდნენ.

გივი გაგაზა



ფეხბურთი

### სალაჰის სეზონი



„ლივერპულის“ შემტევი მოჰამედ სალაჰი პრემიერლიგის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. 25 წლის ეგვიპტელმა მოთამაშემ ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის (PFA) მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში იმარჯვა.

აღნიშნულ ჯილდოზე ასევე წარდგენილი იყვნენ: კევინ დე ბრუინი („მანჩესტერ სიტი“), დავიდ დე ზეა („მანჩესტერ იუნაიტედი“), ჰარი კეინი („ტოტენჰემი“), ლეოი სანე („მანჩესტერ სიტი“) და დავიდ სილვა („მანჩესტერ სიტი“).

„ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. თავს ბედნიერად ვგრძნობ. მთელი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიშრომე და ამ პრესტიჟული პრიზის მიღება ძალიან მახარებს“ – განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე სალაჰმა, რომელიც მართლაც შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. „ფარაონმა“ პრემიერლიგის 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა, სადაც 31 გოლი გაიტანა და 9 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

### პერ შეასრულებს თუ...

სამშის ისეთი პირი უჩანს, რომ ცნობილი მკერდზანზარა იტალიელი მოდელი და საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ თავგადაკლული ტიფოზი მარია ფრუშო აასრულებს ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე დადებულ პირობას და სტადიონ „სან პაოლოს“ ტრიბუნაზე თავის დიდებულ „ბურთულებს“ გამოამზებურებს.

ტურინის „იუვენტუსის“ სასწაულგებრივად ძლევის შემდეგ „ბომბას“ დანაქანები (ნეაპოლელები იტალიის ჩემპიონები თუ გახდებიან, ჯიქნებით გახსარებთო) კიდევ ერთხელ შეახსენეს და მანაც დაადასტურა – ჩემს სიტყვებზე მყარადა ვდგავარ და



დადებულ აღქმას არ გადავალო.

ამჟამინდელი მოცემულობით, „ბებერი ქალბატონი“ კონკურენტს მხოლოდ ერთი, კინკლა ქულითლა უსწრებს და მაურიციო სარის შეგირდებმა თუ შეძლეს მათი დიდი ხნის ოცნების ასრულება და აპენინებზე იპირველეს – ამით მთელი მსოფლიოს დიდმკერდმოყვარენიც გაიხარებენ. მაგრამ „იუვენს“ გადასწრება როგორი საქმეა?...

**როსტომა რაჭველიშვილი**



# ლიზი ბუდალაშვილი ალიარეს!

სასიამოვნო შეტყობინება მივიღეთ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, სადაც გაიმართა ახალგაზრდა კომპოზიტორთა პირველი საერთაშორისო კონკურსი. ჩვენმა თანამემამულემ, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის | კურსის წარჩინებულმა სტუდენტმა ლიზი ბუდალაშვილმა 2 პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვა. მისმა რომანსმა, რომელსაც ტენორი და აკომპანიატორი ასრულებდნენ, სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა ლიზიმ საინტერესო შეთავაზებებიც მიიღო.

რევაზ თოფურია



## ნიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე რიყის პარკში

რიყის პარკში ნიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიება თბილისის მერიის, ისნის რაიონის გამგეობისა და საქართველოს ნიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.



ღონისძიების ფარგლებში, რიყის პარკში ნიგნების ერთდღიანი გამოფენა-გაყიდვა მოეწყო, სადაც ოცზე მეტი ქართველი გამომცემელი მონაწილეობდა. გაიმართა შეხვედრები თანამედროვე ქართულ ავტორებთან. ნიგნების გამოფენა-გაყიდვის პარალელურად, მოეწყო შეზღუდული შენაძნებლობების პირთა მიერ დამზადებული ხელნაკეთობების და ყვავილების გამოფენა-გაყიდვა.

„კარგი ტრადიცია დამკვირდა თბილისში, ყოველ 23 აპრილს აღვნიშნავთ ნიგნის საერთაშორისო დღეს. ყოველწლიურად იზრდება მონაწილე გამომცემელთა რიცხვი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მსოფლიო ნიგნის ბაზარს ეტაპობრივად ვუერთდებით. დღეს რიყის პარკში წარმოდგენილი იყვნენ ქართველი დებიუტანტი ავტორები, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. აქ ბევრი ახალი თაობის წარმომადგენელი იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიგნისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება“, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ სოფიო ხუნწარიამ.



## საქართველო – ალპების ალტერნატივა

### სვანეთი ოს ვეროვულ ტურისტულ მარშრუტში

ბავშვინიანი ბრიტანული გამოცემის „The Guardian“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიის მიხედვით, ევროპის 20 ტურისტული მიმართულება, სადაც შეიძლება მოგზაურმა განუმეორებელი შთაბეჭდილებები მიიღოს: ესპანეთში, ავსტრიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, ჩერნოგორიაში, საფრანგეთში, ალბანეთში და ა.შ. ტურისტულ მარშრუტებში მოხსენიებულია საქართველოც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ჯემა ბოუზის ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან:

ფეხით სოფლიდან სოფელში, თავბრუსხვევით პეიზაჟები... კავკასიის სვანეთის რეგიონში ყოფნისას თქვენ, სავარაუდოდ, კითხვა გაგიჩნდებათ, თუ რატომ იყავით მხოლოდ ალპებით დაინტერესებული, როცა უკეთესი ადგილი საქართველოშია.

აქაური საქმელი ძალიან გემრიელი და იაფია, მცხოვრებლები წარმოუდგენლად სტუმართმოყვარენი არიან, გაგიმასპინძლებიან ადგილობრივი თვითნახადი არყით – ჭაჭით და ამ დროს ზემოდან დაგცქერით 4 ათას მეტრ სიმაღლეზე ცაში აზიდული ყინულოვანი მწვერვალები, ალპებზე ბევრად მაღალნი. კომპანია Travel local-ს აქვს სამოგზაურო პაკეტი, რომელიც იწყება ქუთაისში, ფერმერების ბაზრიდან, სანამ მესტიაში – სვანეთში გაემგზავრებოდეთ. სვანეთი მსოფლიოშია ცნობილი თავისი თავდაცვითი კოშკებითა და შხარას მყინვარით.

სტატიის მიხედვით, მოგზაურობის ღირებულება სტერლინგებში და საქართველოში ჩასვლის ავიაბარშრუტი, კომპანია Wizz Air-ის მეშვეობით.

„THE GUARDIAN“ (დიდი ბრიტანეთი)

## პაპაკაიხიშვილებმა „იმედი“ დათქვეს

ბავრცელებული ინოვაციით, ტელეკომპანია იმედის 100% ირაკლი რუხაძეს საკუთრებაში გადადის. HunnewellPartners-ის მმართველ პარტნიორს ირაკლი რუხაძესა და ირაკლი გუდაგაძეს შორის, ტელეკომპანია „იმედისა“ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნასყიდობაზე მოლაპარაკება დასრულდა.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ნასყიდობის სავარაუდო ღირებულება 30 მლნ დოლარია.



## განსაცინებელი ა(მ)ბები

**ახალი კოსტიუმი**  
– რა ქენი, შენს ახალ კოსტიუმს მკერავმა წყვილი შარვალიც მოაყოლა?  
– კი.  
– კმაყოფილი ხარ?  
– ძალიან, ოღონდ ცოტა მცხელა.

**ნიშანი**  
– მამონი, კალინოვსკი მომგვადარა.  
– რა იცი, ნეკროლოგი გამოქვეყნდა?  
– არა, მაგრამ ამ ბოლო დროს მასზე ყველანი კარგს ლაპარაკობენ, აქებენ კიდევ.

**ვეროლუსია**  
ჩემო საყვარელო შეილიკო, როცა სულ პატარა იყავი 100 დოლარს დაგპირდი იმ პირობით, თუ მონევას არ მიეჭვოდი. ცოტა ხანში მინდოდა შენთვის 100 დოლარის მოცემა იმ პირობით, თუ მონევას თავს დაანებებდი, ახლა იმ პირობით გაძღვევ ამ 100 დოლარს, თუ აღარ ილაპარაკებ, მონევას თავს მალე დავანებებო.

**ნატურით გაღასდა**  
– მამბო, სამწუხაროდ, უფულოდ ვარ და ვერ გადაგიხდის საქორწინო ცერემონიის საზღაურს,

მაგრამ, თუკი თქვენს ელექტრომრიცხველს მაჩვენებთ, ისე გაგიკეთებთ, რომ დენს სულ მუქთად მოიხმართ.

**გაქირავება**  
– ვფიქრობ, ეს ოთახი უნდა მოგწონოთ, რადგან თქვენამდე აქ ქიმიკოსი ცხოვრობდა და სულ რაღაც ურთულეს ქიმიურ ცდებს ატარებდა.  
– ეგ ლაქები კედლებზე, ალბათ, ქიმიკალიებია?  
– არა, თვითონ ქიმიკოსია.

**ბიზნესი**  
– ბავიბი, თქვენს ბიჭს ქათმები მოუშენებია, კარგად მისდის

საქმე?  
– ჩინებულად! ჯერ ქათმები ვუყიდე, ახლა იმისგან კვერცხებს ვყიდულობ და ისევ თვითონვე ჭამს.

**გამართლება**  
– მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც თქვენ ჩვენთან მუშაობთ, თქვენს გაცდენებს ამართლებდით სწავლით, ახალ ბინაში გადასვლით, ტყუბი ბიჭების გაჩენით, ქალიშვილის ნათლობით, ტყუბი გოგონების გაჩენით... ახლა რაღას იტყვით?  
– ცოლი მომყავს, ბატონო დირექტორო.

	<b>უხსოვარი პალატის კარსი:</b> აშუ ფოლარი - 2.4402; პირი - 3.0017; ბრიტანული მიკროსაბანკი - 3.4343; 100 რუბლი - 3.9729; თურქული ლირა - 0.6036; აზერბაიჯანული მანათი - 1.4426; 1000 სომხური დრამი - 5.0891.	<b>აპრილი 24 აპრილისთვის</b> ადგილობრივი საქართველო: ბარი - ლაპი +4, ლაპი +20 მთიანი რაიონები - ლაპი -1, ლაპი +15 დანაშაული საქართველო: ბარი - ლაპი +5, ლაპი +19 მთიანი რაიონები - ლაპი +2, ლაპი +16 თბილისი: ლაპი +8, ლაპი +18	<b>დაავიკაპით, მოგვინათ:</b> ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	--